ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები საცალო და საბითუმო ვაჭრობა

ძირითადი რეკომენდაციები:

შესაძლებელია მხოლოდ იმ ობიექტების გახსნა, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან (გარე სივრციდან) და აღჭურვილია ბუნებრივი/ხელოვნური ვენტილაციის შესაძლებლობით

- აწარმოეთ თერმოსკრინინგი როგორც დასაქმებულებთან (ყოველდღიურად) ასევე მომხმარებლებთან მიმართებაში (ყოველი ობიექტზე შესვლის წინ);
- საცალო-საბითუმო ობიექტის ფართი უნდა აღიჭურვოს პორტატული ჰეპა ფილტრებით - (დასაზუსტებელია თუ რა ფართის სივრცეში იქნება სავალდებულო ამ ტიპის მოწყობილობის საჭიროება).
- სამუშაო სივრცეში აკონტროლეთ მომხმარებელთა და დასაქმებულთა რაოდენობა - ერთობლივად არუმეტეს 5 ადამიანისა ერთ სივრცეში (შესაძლებელია განისაზღვროს კვადრატულობის მიხედვითაც);
- თანამშრომლები/მომხმარებლები უზრუნველყოფილი უნდა უყოს კოლექტიური დაცვის საშუალებებით:
    - დეზობარიერი - შესასვლელში, მოსასვენებელი/სასადილო ფართის წინ;
    - დამცავი გამჭვირვალე ბარიერები - თანამშრომლების მესამე პირებთან ურთიერთობის შემთხვევაში;
- არ დაუშვათ სამუსაო სივრცეში პირი, რომელიც არ არის აღჭურვილი სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (შესაძლებელია როგორც პირდაპირი აკრძალვა, ასევე ობიექტის მიერ სათანადო ინდ. დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა):
- სამუშაო საათები უნდა განისაზღვროს დღეში არაუმეტეს 6 საათისა (11:00- დან 17:00 მდე)
- დასაქმებულებს და სხვა პირევს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ინფორმაცია დასაქმებულებს პირებს ვირუსთან დაკავშირებული ყველა საკითხისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ(შესაძლებელია აუდიო ვიდეო სისტემის მეშვეობით):
    - განთავსდეს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას ორგანიზაციის მიერ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების გეგმა;
    - განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების პერიოდულობის შესახებ ინფორმაცია;
    - განთავსდეს ჰიგიენური საშუალებებით დაცვის ღონისძიებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია სათანადო ადგილას, მათ შორის ხელის დაბანის, ნიღბის, ბახილების და ხელთათმანის მორგების, ტარების და მოცილების წესები;
    - პირბადე;
    - ხელთათმანი;
    - ბახილები;
    - საჭიროების შემთხვევაში - სახის დამცავი ფარი;
    - სპეციფიკური სამუშაოს შემთხვევაში - სპეც. ტანსაცმელი.
- უზრუნველყავით სამუსაო სივრცეში ზედაპირების დასუფთავება/დეზინფექცია სათანადო წესით, (ყოველ 3 საათში ერთელ)-ასევე ყველა იმ ზედაპირის დამუშავება რომელთანაც შეხება უწევს დასაქმებულს/მომხმარებელს (მათ შორის კარის სახელურები, საკასო აპარატები, კომპიუტერის კლავიატურა, მაუსი, კალკულატორი და ა.შ.)
- დაიცავით დისტანცია (მინ. 2 მეტრი) დასაქმებულებს და მომხმარებლებს შორის;
- შეიმუშავეთ უსაფრთხოების გეგმა, როგორც ვირუსის აღმოჩენამდე, ასევე ვურუსის აღმოჩენის შემთხვევაში;
- ობიექტზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასაქმებულთა/ ვიზიტორთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. კომპანია ვალდებულიოა უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

StopCoV.ge 1505 116 001

-
-

დამსაქმებლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები ვირუსის აღმოჩენამდე:

- გააკონტროლეთ დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სამუშაოს დაწყებამდე;
- მიაწოდეთ ინფორმაცია ყველა თანამშრომელს უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ;
- პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე უზრუნველყავით დახურული სივრცეების/ სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია და სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება;
- ჩაატარეთ დეზინფექცია სამუშაო სივრცეში და სხვა დამხმარე სათავსებში სამუშაოს დასრულების შემდგომ, არაუმცირეს ყოველდღიურად;
- მუშაობის მიმდინარეობისას, სამუშაო დროის განმავლობაში დაწესეთ სანიტარული შესვენებები;
- შეეცადეთ შეამციროთ ნაღდი ფულის გამოყენება თქვენს ობიექტზე;
- თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენური საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
- უზრუნველყავით დასაქმებულთა წვდომა ხელის ჰიგიენურ საშუალებებთან;
- უზრუნველყავით გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების განათავსება დახურულ კონტეინერებში და მისი სათანადო წესით უტილიზაცია;
- შეზღუდეთ მომხმარებლების და ფართო საზოგადოების დაშვება ობიექტებზე, ან ისინი მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო არეალში დაშვებით.

დასაქმებულთა ვალდებულებები

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.

შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- დაასუფთავეთ სადეზინფექციო საშუალებებით სამუშაო ზედაპირები, თუ ხელსაწყოები;
- საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ, საპირფარეშოში შესვლის და გამოსვლის შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით და კარგად გაიმშრალეთ ;
- მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას, ჩახუტებას და სხვა) და დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მ-სა);
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი მოათავსეთ ურნაში;
  გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას;
- მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება, ასევე მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 15 05 116 001